# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 95

ქალაქი ქუთაისი 7 ივნისი 2021 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ბერიკა გრძელიშვილის

დადგენის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - სამდივნო განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის 2021 წლის 1 ივნისის №45-45211525 წერილობითი განცხადების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**მუხლი 1.** დადგინდეს ქაალქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ბერიკა გრძელიშვილი.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - სამდივნო განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის 2021 წლის 1 ივნისის №45-45211525 წერილობითი განცხადება წინამდებარე ბრძანების დედანს თან ერთვის)

**მუხლი 2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის საკრებულოს აპარატში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქაალქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2007 წლის 1 მარტის №50 ბრძანება.

**მუხლი 3.** კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს, ივანე ჟორჟოლიანს.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია